საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება 50/2025
2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 16 აპრილის №28/2025 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 16 აპრილის №28/2025 დადგენილებით (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 17/04/2025, 010250000.15.008.016800) დამტკიცებული ინსტრუქციის თავი II-ის **(საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს) ნაწილი 3-ით (როგორ ემზადება კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის პროცესის დასაწყებად) განსაზღვრული „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის განაწილებული ფუნქციების შესახებ მონაცემების ასახვა ჩანაწერთა წიგნში" შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.**

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**